ოქმი:**ო02. 3724114001**

თარიღი:**23/04/2024**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2024 წელი, 18 აპრილი

ქ.ოზურგეთი

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, ნ. ჭანიშვილი, ლ. კილაძე, დ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ალ. ბურჭულაძე, გ. სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

3.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

4.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

5.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათში მდებარე N13 ქუჩისათვის ,,რამიკო აროშიძის“ სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

6.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში მდებარე გაბრიელ ეპისკოპოსის

ქუჩის ნაწილისა და მიმდებარე უსახელო ქუჩისათვის ,,დავით სარაჯიშვილის“ ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და ვადებში, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ისაუბრა სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე, 350 ათასი ლარიდან გახარჯულია 236 ათასი ლარი. ინფორმაცია მიაწოდა არსებულ ნაშთებზეც, კერძოდ 2024 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 10933 ათასი ლარი, რომელიც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია მაგრამ მაინც საყურადღებოა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, აღნიშნა, რომ კომისიამ წლის დასაწყისში შეიმუშავა და საკრებულოს ბიურომ დაამტკიცა წლიური სამუშაო გეგმა, მაგრამ აუცილებელი გახდა გეგმის ხელახალი გადამუშავება და ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების უფრო დაწვრილებით განსაზღვრა, შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდა USID -ის მხარდაჭერითა და დახმარებით. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სამოქმედო გეგმის ბიუროს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წრმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ ქ. ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია და გურიანთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში გურიანთასა და ციხისფერდში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა, რომლებზეც უკვე შედგენილია შესაბამისი პროექტები და ხარჯაღრიცხვები, უპასუხა დასმულ შეკითხვებს , კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტების ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის N 5 და 6 საკითხები, აღნიშნა, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ქუჩების სახელწოდების შეცვლის საკითხებზე მოსახლეობასთან შეთანხმებით მომზადდა დოკუმენტები და გაიგზავნა შესაბამის სამთავრობო კომისიაში, საიდანაც მიღებული იქნა დადებითი პასუხი, საკითხი მზადაა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხები წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი